ახალი განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,

1-14 ივნისი 2015 წელი №10 №8092 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერს, ვგროვებს, იხსნავს რეპორტაჟებს, ცდილობს, ბევრს ვინ უხლის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფასებებს მეცნიერულ მეცნიერებს ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი

26 მაისი გიორგი სააკაძის მოედანზე გვ2.

2016 წელს ივანე ჯავახიშვილს დაბადებიდან 140 წელი შესრულდება გვ2.

მასპინძლობდა ქალთა თემი „თეძამ" გვ5.

ბავშვთა უფლებების კონვენცია გვ5.

შენი ადგილი მსოფლიოში გვ5.

მიმდინარეობს ეზატის, გუდალეთის, თელადგორის და ქვემო ხანდაკის გაზიფიცირების სამუშაოები გვ2.

გერბერული მაზრავშვილი-სამშობლოს ჯარისკაცი გვ6.

მაგ შემდეგ რაც ბევრი ფიქრი გვაქვს გვ3.

ამბები ბოლოპრიალ ჯადოქრებზე

პირველი ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე გვ3-4.

შეუცნობელი, მოულოდნელი...

„ახალი განთიადი", იძენს სამინდერეთ ბოლოვიებს რეპორტაჟს ნაგვაზეთ ფოტო-მაცივნის შეცვამ-ნელოვლ. თხოვნით მივმართავთ თანამრეპორტიორებს - დადგენილი თ ჩვენი ყველა ჩვენს მაცივნიში! გამოგვიგზავნეთ სამინდერეთ და სახალოთ ფოტოები!

მიმდინარეობს ეზატის, გუდალეთის, თელადგორის და ქვემო ხანდაკის გაზიფიცირების სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თელადგორში საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ გაზიფიცირების დაწყების მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგების ღონისძიების ხელშეწყობის მიზნით, შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"-მ განახორციელა კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების: ეზატის, გუდალეთის, თელადგორის და ქვემო ხანდაკის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოები.

ოთხივე სოფლის გაზსადენის საპროექტო ჯამური სიგრძე 42 275 გრძივი მეტრია, ხოლო აბონენტთა რაოდენობა 945. მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბუნებრივი აირი ყველა სოფლისათვის იყოს ხელმისაწვდომი. ამასთან, მოსახლეობა შეეყვანის ხარჯს 600 ლარის ნაცვლად, 400 ლარს გადაიხდის და განვადებით გადახდის შესაძლებლობაც ექნებათ - აღნიშნა ენერგეტიკის მინისტრმა მოსახლეობასთან საუბრისას.

მოსახლეობამ ვიცე-პრემიერს მადლობა გადაუხადა სოფლის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

სოფელ თელადგორში იმყოფებოდნენ საქართველოს გაზისა და ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი მამუკა კობახიძე, შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი, მისი მოადგილე ამირან შავშიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ბუღაძე.

26 მაისი გიორგი სააკაძის მოედანზე

კასპის მუნიციპალიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი გიორგი სააკაძის მოედანზე იზეიმეს. ღონისძიება საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერის მერაბ კოსტავას სახელობის სკვერიდან დაიწყო, სადაც ეროვნული გმირის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდიც იქ გაიმართა. ბიუსტთან შეკრებილი მოქალაქეები მსვლელობით ქალაქის ცენტრში მდებარე გმირთა მემორიალისაკენ გაემართნენ. პატარებმა მემორიალთან ყვავილების თაიგული მიიტანეს. ქალაქის ცენტრში, გიორგი სააკაძის ძეგლის კვარცხლბეკზე საქართელოს დამოუკიდებლობის ორი აქტის ამსახველი ბანერი იყო განთავსებული. ღონისძიება საქართველოს ჰიმნით დაიწყო. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მოსახლეობას მიულოცეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სანდრო გზირიშვილმა და სოფელ მეტეხის მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა გიორგი ბუდაღაშვილმა. საკონცერტო პროგრამა ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელშიც ადგილობრივი თვითშემოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ, მათ შორის პატარა მომღერლებიც. ღონისძიება ფეიერვერკით დასრულდა. პარალელურად გაიმართა სპორტული ღონისძიებები და ფოტო გამოფენები.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

2016 წელს ივანე ჯავახიშვილს დაბადებიდან 140 წელი უსრულდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა სოფელ ხოვლეს ესტუმრა. 2016 წელი, დიდი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო წელია, მას დაბადებიდან 140 წელი უსრულდება.

ვლადიმერ პაპავამ, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ბუღაძემ, მისმა მოადგილემ ილია ზაქარიაძემ, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ დაათვალიერეს სახლ-მუზეუმი და სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ურთიერთ თანამშრომლობის სამმხრივ მემორანდუმს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კასპის მუნიციპალიტეტი, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება) მოაწერეს ხელი.

ივანე ჯავახიშვილის იუბილე 2016 წელს ღირსეულად უნდა აღინიშნოს. დღევანდელი შეხვედრის მიზანიც ესაა, ამისათვის მზადება კი უკვე დავიწყეთ - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა.

,,ახალი ვანთიანი,, იძლევა ანონიმური ავტორებისგან ფოტომასალის შეგროვებას. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - ოჯახური ალბომები ჩვენ მასალაში! გამოგვიგზავნეთ ანონიმური ან ახალი ფოტოები!

გამოიწერეთ "ახალი ვანთიანი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

მაგ შემდეგ რაც ბაღი უფასო გახდა

რამდენი ბაღი ფუნქციონირებს ჯასპის მუნიციპალიტეტში, რა სიახლეებია სწავლების მიმდინარეობის თვალსაზრისით, როგორია ბაღებში ბავშვთა ყვება, გაგრძელდება თუ არა სარეაბილიტაციო სამუშაოები, იმატა თუ არა აღსაზრდელთა ჯონტინგენტმა მას შემდეგ რაც ბაღი უფასო გახდა? - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ჯასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტში 26 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, სადაც 1400 აღსაზრდელია. მას შემდეგ, რაც დღევანდელმა მთავრობამ თავის პრიორიტეტად დაისახა ბავშვებზე ზრუნვა ამოქმედდა უფასო ბაღები, იმატა ბავშვთა რაოდენობამ.

2012 წელს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღიზარდა 1000 ბავშვი, 2013-ში – 1200, 2014-ში – 1400. საბავშვო ბაღებში დაემატა ჯგუფები, აღმზრდელები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები. მეთოდისტი სისტემატურად ამოწმებს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამას, აფასებს აღმზრდელების მუშაობის ხარისხს და სთავაზობს შესაბამის რეკომენდაციებს. ფსიქოლოგი ეხმარება პედაგოგიურ პერსონალს პრობლემების დაძლევაში, ის აგროვებს და აღრიცხავს ინფორმაციას კონკრეტული აღსაზრდელის შესახებ და ადგენს, საჭიროებს თუ არა აღსაზრდელი დამატებით, ზუსტ დიაგნოსტირებას.

ბაღებში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვების კვებას, კვების მენიუ არის მრავალფეროვანი. დღიური რაციონის კერძების ნაკრები უზრუნველყოფს ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებებს. მათ ეძლევათ საუზმე, სადილი, სამხარი. მენიუში შედის სხვადასხვა სახის მარცვლეული, თევზი, საქონლის და ქათმის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, ხილი. ჩვენი მიზანია მეტ ბავშვს მივცეთ უკეთესი განათლებისა და უკეთესი მომავლის შანსი. ბავშვი ვითარდება ფიზიკურად და გონებრივად, იძენს ცოდნასა და უნარებს, სწორედ ესაა განათლების პროცესი. ამ პროცესს კი სჭირდება ხელშეწყობა უფროსების მხრიდან. მშობლები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეში, რათა უკეთესად დაინახონ საკუთარი შვილების მიღწევები თუ პრობლემები.

ცოტაც და დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელები შეაღებენ სკოლის კარებს, თუ რამდენად მზად არიან ბავშვები სკოლისთვის, მოწმდება სააღმზრდელო პროცესი. გაერთიანების თანამშრომლებთან ერთად მეცადინეობებს ესწრება კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ქალბატონი თეა ხორბალაძე. ხდება მეცადინეობის განხილვა, რეკომენდაციები მიეცათ ბაღის გამგეებს, აღმზრდელებს, მომსახურე პერსონალს. სააღმზრდელო მუშაობა კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დამაკმაყოფილებელია, შედეგები განხილულია.

ბაღი ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან. გასულ წელს ნაწილობრივ გარემონტდა საბავშვო ბაღები, აღიჭურვა საჭირო ტექნიკით.

2015 წლის ზაფხულში იწყება რეაბილიტაციის II ეტაპი. პროექტის მიზანია ჯანსაღი გარემოს შექმნა აღსაზრდელებისათვის და ითვალისწინებს კასპის მუნიციპალიტეტში შემავალი საბავშვო ბაღების სახურავების რეაბილიტაციის დასრულებას, ბუნებრივი აირის ქსელის, სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-დასრულებას, სააღმზრდელო ჯგუფების ოთახების, დარბაზების კარ-ფანჯრების ნაწილობრივ გამოცვლას, ჯგუფებში ინვენტარის შეძენას და ფასადების აღდგენას. მოხდება სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.

ახალი სასწავლო წლისათვის მრავალ საინტერესო სიახლეს ვპირდებით ჩვენს პატარებს, თუმცა მოსმენილს ნანახი სჯობია, ამიტომ ცხელი ზაფხულის დღეები მნიშვნელოვანი ცვლილებების დრო იქნება. მანამდე კი ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენს აღსაზრდელებს, მათ მშობლებს ვულოცავ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და სასურველ მომავალს.

№2 ბაღის აღმზრდელი ლალი იმერლიშვილი:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მთავარი დანიშნულება გახლავთ საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ და ესთეტიკურ განვითარებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სასკოლო მზადებას. ასევე, სკოლამდელი განათლების ძირითადი ამოცანაა შექმნას ისეთი გარემო, რომ ექვსი წლის ასაკის ბავშვს ხელი შეუწყოს სოციალურ-ემოციურ, შემეცნებით, ფიზიკურ-მოტორული, სამეტყველო უნარების განვითარებას და ზოგადი ცოდნის მიღებას. მართლაც, ზოგადი განათლების მიღება ბავშვს მხოლოდ ბაღში, აღმზრდელის ჩართულობით შეუძლია. აღმზრდელმა აღსაზრდელებს უნდა გაუღვივოს და განუვითაროს სახელმწიფოებრიობის, ენის, კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების პატივისცემა, სოციალური პასუხისმგებლობა. ხშირად უნდა ვესაუბროთ პატარებს, გავაცნოთ მათ საინტერესო ამბები, წავუკითხოთ მოთხრობები და ლექსები, რომლებიც აღსაზრდელებს გაუღვივებს სამშობლოს, ენისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი სიყვარულის პატივისცემის განცდას.

აღმზრდელი ბავშვებთან ურთიერთობით ცდილობს ჩამოუყალიბოს მათ ზოგადი ცოდნა სამყაროს შესახებ, განუვითაროს შემეცნებითი და ესთეტიკური უნარები, რომლის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მრავალი ფორმა: თამაში, ხატვა, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა. იგი ურთიერთობისას უნდა დააკვირდეს, თუ როგორ აქვთ განვითარებული სამეტყველო უნარი, სწორად და მკაფიოდ წარმოთქვამს ბგერებს, არ დაამახინჯოს ესა თუ ის სიტყვა, ერთი სიტყვით, ასეთი "ხარვეზების" აღმოფხვრა ადრეულ ასაკში უნდა ხდებოდეს. ბავშვებთან ურთიერთობა აღმზრდელმა ისე უნდა წარმართოს, რომ შეექმნათ მათ შემოქმედებითი ცნობისმოყვარეობა, სასიამოვნო და საინტერესო იყოს მათთვის ყოველივე ახალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის პროცესში ადრეულ ასაკში სწავლების და განვითარების სტანდარტების გათვალისწინება. ეს შეიძლება საფუძვლად დაედოს ადრეულ ასაკის ბავშვზე ზრუნვას და აღზრდას, სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, ერთიან ინტეგრირებულ სისტემის შექმნას. ტრენინგების დახმარებით მოხდა გადახალისება, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი პერსპექტივების დანერგვა სააღმზრდელო დაწესებულებაში.

მზარეული ციალა რუსიშვილი:

შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მშობლებს ნამდვილად არა აქვთ საფიქრალი, მით უფრო სანერვიულო, ბავშვთა კვების საკითხი ასეთ დონეზე არასოდეს ყოფილა უზრუნველყოფილი. წლებია მესამე ბაღის სამზარეულოში მიხდება მუშაობა და მსგავსი ყურადღება, ორგანიზებულობა, მომარაგება, დღეს რომ იგრძნობა ბავშვების მიმართ, არასოდეს ყოფილა.

არ მალავენ აღფრთოვანებასა და კმაყოფილებას მშობლები, უკვირთ, რომ მათი შვილები კვირაში სამჯერ ხორციან კერძებს მიირთმევენ. არც თევზი აკლიათ და არც სხვა რომელიმე საკვები პროდუქტი, თანაც ხარისხიანი, ახალი და საიმედო, ყოველნაირად დაცული და უსაფრთხო, რეგულარულად შემოდის ბაღში ხილი და ბოსტნეული, რძის ნაწარმი, ყველი, მაწონი, ტკბილეული, ნამცხვარი, ხილფაფა...

მოგვარებულია საყოფაცხოვრებო პირობებიც, კერძოდ საგულდაგულოდ გარემონტდა კვების ბლოკი, სამზარეულოს აქვს ცივი და ცხელი წყალი, ჰიგიენური პირობების დაცვა ჩვენთან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომლის კონტროლს ბაღის ხელმძღვანელობა უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს.

კასპის №2 ბაღის ფსიქოლოგი მარინა დალაქიშვილი:

სკოლამდელი აღზრდა მეცნიერებაა დაბადებიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა აღზრდის შესახებ. ბავშვის 6 წლამდე პერიოდი წინ უსწრებს სასკოლო ასაკს და ამიტომ ეწოდება მას სკოლამდელი ასაკი. ამ ასაკში ხდება ადამიანის ორგანიზმის ინტენსიური ზრდა, ვითარდება ყველა ფსიქიკური ფუნქცია, გონებრივი უნარები, ინტერესები, საფუძველი ეყრება ბავშვის პიროვნულ თვისებებს. ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებაში დიდი როლი ენიჭება საბავშვო ბაღს. ბაღის მუშაობას განსაზღვრავს აღმზრდელთა ბავშვებისადმი დიდი სიყვარული, განსაკუთრებული მზრუნველი დამოკიდებულება, საერთოდ, პატარებთან ურთიერთობა სათუთია, ნაზია, საჭიროა თითოეულთან ინდივიდუალური მიდგომა, მათდამი სითბოსა და ყურადღების გამოჩენა. აი, სწორედ ეს არის ჩვენი ბაღის, მთელი კოლექტივის მუშაობის ძირითადი კრიტერიუმი, მეტიც, ბაღის მთელი კოლექტივი ღრმა შეგნებით და უდიდესი პასუხისმგებლობითაა განწყობილი დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

ჯგუფები დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრით, მათ ძალიან უყვართ თავიანთი საქმე, პატარებზე ზრუნვა მათი უპირველესი საზრუნავია. ჯგუფები უზრუნველყოფილია მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით, სათამაშოებით. ბოლო წლებში ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებულად ზრუნავს ბავშვებისათვის მყუდრო და კომფორტული პირობების შექმნაზე. უკვე ორი სასწავლო წელია, ბავშვთა კვება უფასოა, ხოლო საკვები პროდუქტები ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა, მენიუ კი, სრულფასოვანი, დახვეწილი... ხორცი, თევზი, რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ტკბილეული, ხილი ბავშვთა კვების რაციონის შემადგენელი ნაწილი გახლავთ.

№3 ბაგა-ბაღის მეთოდისტი ლალი დონდუაშვილი:

მმართველი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმატება განათლების სისტემის პრიორიტეტად დასახელება გახლავთ... ამ სისტემის ქვედა რგოლზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე ზრუნვა ყველას ვალია. დღეს, ისე, როგორც არასდროს გაიზარდა ბაღის როლი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ აქ ეუფლებიან ბავშვები ურთიერთპატივისცემის, ჰუმანურობის, სამართლიანობის, დამოუკიდებლად მოქმედების და ჯგუფური მუშაობის პირველ საწყისებს...

ჩვენი ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები (მარეხ აფციაური, ხათუნა მერებაშვილი, თეონა დევსურაშვილი, ნინო გიგაური, მედეა მაღრაძე, თამარ ბიჭაშვილი) დაუზოგავად, უდიდესი პასუხისმგებლობით შრომობენ, რომ ჩვენმა პატარებმა სათანადო ცოდნა მიიღონ, მომზადებულები წავიდნენ სკოლაში. გადაჭარბებული არ იქნება რომ გითხრათ, ბოლო წლებში ნამდვილად შეიმჩნევა სერიოზული პროგრესი, რომელიც განიცადეს ჩვენმა აღსაზრდელებმა და ეს ძალიან სასიამოვნოა ჩემთვისაც, რადგან ამ შემთხვევაში მეთოდისტის წვლილი არც თუ ისე მცირეა.

სულ მალე გვექნება სასკოლო ასაკის ბავშვების გაცილება, რომელსაც ერთობლივად ვატარებთ ხოლმე ბაღში, ეს ყველაფერი საზეიმო ხასიათს იღებს, ბავშვებთან ერთად ზეიმში მონაწილეობენ მშობლები, სპეციალურად მოწვეული დაწყებითი კლასების მასწავლებლები.

კასპის №2 ბაგა-ბაღის აღმზრდელის თანაშემწე გულნაზი კაციაშვილი:

ადრეულ ასაკში ბავშვისადმი სათანადო დამოკიდებულება და სწავლების ხელშეწყობა, მომავალში მისი პიროვნებად ჩამოყალიბების, ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური მდგომარეობის ფორმირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას განსაზღვრავს მის გარშემო არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო და ფსიქოლოგიური განწყობა... ამიტომ ჩვენი ბაღის თანამშრომლები განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ბავშვებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას, ჰიგიენას, მათდამი სითბოსა და გულისხმიერების გამოჩენას და, რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას ვამახვილებთ კვებით ღირებულებების გაუმჯობესებაზე.

მოგეხსენებათ, 2013 წლიდან საბავშვო ბაღები უფასო გახდა, თანაც საგრძნობლად გაუმჯობესდა, მრავალფეროვანი გახდა კვების მენიუ. ინტენსიურად მიმდინარეობს ბაღის სარემონტო სამუშაოები, რაც საშუალებას გვაძლევს კომფორტულ პირობებში ვამყოფოთ ჩვენი პატარები. უფრო კარგი იქნებოდა, რომ ბაღს ცენტრალური გათბობა ჰქონოდა, ამით, რასაკვირველია, უამრავი პრობლემა მოგვარდებოდა.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ძალისხმევა და გულმოდგინება, ამჟამად ბაღში შექმნილი საერთო ვითარება და განწყობა ეფექტს გამოიღებს აღსაზრდელთა სრულფასოვანი ჩამოყალიბების საქმეში.

მეტეხის საბავშვო ბაღის გამგე ნინო პატარქალაშვილი:

2011 წლიდან მეტეხის საბავშვო ბაღის გამგედ ვმუშაობ და ნათლად მაქვს გაცნობიერებული ეს უდიდესი პასუხისმგებლობა, ისიც ვიცით, რომ ბავშვისათვის ადრეული ასაკი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ფიზიკური, გონებრივი განვითარებისათვის. ამიტომ ბაღის თითოეული აღმზრდელი თუ მასწავლებელი, თანამშრომელი ძალისხმევას არ იშურებს თითოეული აღსაზრდელისათვის. ამჯერად, მუშაობა გვიწევს მოძველებულ შენობაში, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს, ამ საქმის მოგვარებაში ძალიან გვეხმარება ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შენობაში წვიმის წყალი ჩამოგვდიოდა და შარშან, შემოდგომაზე ეს პრობლემა მოგვარდა, ძველი სახურავი მთლიანად შეიცვალა ახლით, აგრეთვე გარემონტდა ჯგუფის ორი ოთახი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამზარეულოს, გარემონტდა, მოწესრიგდა ყველაფერი, კეთილმოეწყო და ახლა უკვე უზრუნველყოფილია ცივი და ცხელი წყლით. შეგვიძინეს სამზარეულოს ინვენტარი, ჭურჭელი, გვაქვს აგრეთვე მაცივარი, გაზქურა. ტექნიკური პირობების გაუმჯობესების პარალელურად, რა თქმა უნდა, სათანადო ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებისათვის ხელშეწყობასა და ზრუნვას. სწორედ ამას ემსახურებოდა ღია გაკვეთილი, რომელიც ამას წინათ ჩატარდა 5-6 წლიან ასაკობრივ ჯგუფში /აღმზრდელი ე. მამულაშვილი./ ღია გაკვეთილს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი და გაერთიანების სპეციალისტები, რომლებმაც დადებითად შეაფასეს ღია გაკვეთილი და ზოგადად ბაღის მუშაობა.

ბაღის მზარეული ნაირა ახლოური:

ბაღი უფასო არასოდეს ყოფილა, ამ ფაქტმა სერიოზული გავლენა იქონია ბავშვთა ნაკადზე. გარდა იმისა, რომ ბაღი უფასოა, სამჯერადი კვებაც ხიბლავთ მშობლებს, ისე რომ, ბავშვები ყველანაირ საკვებ პროდუქტს იღებენ ხილიდან დაწყებული ხორც-პროდუქტებითა და თევზით დამთავრებული. თანაც, პროდუქტები მოდის ახალი და ხარისხიანი. მოკლედ ასეთი გამართული სამუშაო პირობები და საერთო სიტუაცია, რა თქმა უნდა დადებითად განგაწყობს, კიდევ უფრო მოტივირებული ხდები, რომ ყურადღებით, სიყვარულით მოემსახურო პატარებს.

კასპის №5 ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებელი ელენე ხორგუაშვილი:

ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებაც მაქვს და რაც მთავარია, ჩემი ძირითადი პროფესიიდან /ბიოლოგი / გამომდინარე, გავლილი მაქვს ბავშვთა პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, გარდა ამისა, მაქვს მუსიკალური განათლებაც. ბავშვობიდან გატაცებული ვიყავი ფორტეპიანოზე დაკვრა- სიმღერით... დიდი სურვილი მქონდა მემუშავა ბავშვებთან მუსიკის განხრით, ადრე, როცა სკოლაში ვმუშაობდი და საზეიმო ღონისძიებებს ვატარებდით, მუსიკალურად ყოველთვის მე ვაფორმებდი და ახლა ეს გამოცდილება ძალიან დამეხმარა... მეთოდური მითითებების გათვალისწინებით, ასაკის მიხედვით ბავშვებს ვასწავლი სიმღერას, რომელთა მოპოვება მიხდება ინტერნეტის საშუალებით საბავშვო გადაცემებიდან: "თავდაყირა", "ენკი-ბენკი", "ბაბილინა", "ბასტი-ბუბუ"... სიმღერებს ვაერთიანებ სეზონის შესაბამისად, გარდა ამისა, ეწყობა მხიარული თამაშები, სპექტაკლები მუსიკის თანხლებით, ვარჯიშები. სურვილი მაქვს, მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მქონდეს სპეციალური მუსიკალური სახელმძღვანელო, სადაც მითითებული იქნება მუსიკის სწავლების მეთოდები და ასაკის შესაბამისი სიმღერები პარტიტურასთან ერთად.

ფერმის საბავშვო ბაღის გამგე ლორინა ჩიტაშვილი:

სოფელი ფერმა აზერბაიჯანელი მოსახლეობით არის დასახლებული. წლების განმავლობაში სოფელს საბავშვო ბაღი არ ჰქონდა და სკოლაში მისული, დაწყებითი კლასების მოსწავლეები სრულიად სხვა, მათთვის უცხო სამყაროში ხვდებოდნენ, დიახ, ენის ბარიერის გამო ბავშვებს არ შეეძლოთ სკოლასთან ურთიერთობა, რა თქმა უნდა, გართულებული იყო სასწავლო პროცესი... 2005 წელს დიდი ძალისხმევის შემდეგ გაიხსნა ფერმის ბაღი, ქართული ბაღის გახსნა მთელ სოფელს გაეხარდა... ფერმაში საბავშვო ბაღის გახსნის ძირითადი დანიშნულება გახლდათ აზერბაიჯანელი ბავშვებისათვის ქართული ენის სწავლა და ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაცია.

კასპის მუნიციპალიტეტის ორგანიზებითა და დახმარებით ბაღისთვის გამოიყო ახალი ინვენტარი, მაგიდა, სკამები, კარადები, სამზარეულო აღიჭურვა საჭირო, სათანადო მოწყობილობით. სრულყოფილი, მრავალფეროვანი გახდა კვების რაციონი, საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო პროცესი. სამ-ოთხ თვეში პატარებმა მოახერხეს სალაპარაკო, საურთიერთო ენის დაუფლება, ინტერესით სწავლობდნენ ქართულ ლექსებსა და ზღაპრებს, სიმღერებს, გასაოცარი იყო ის ფაქტიც, რომ პატარებს არ გასძნელებიათ ქართული ჰიმნის სწავლა, ერთ წელიწადში კი ისე კარგად დაეუფლნენ სალაპარაკო ქართულს, რომ ახლა უკვე მშობლებთან თარჯიმანობასაც კი "ითავსებენ". ერთი სიტყვით, ფერმის საბავშვო ბაღი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი დღესასწაული, ბავშვები დიდი ინტერესით, ხალისით მონაწილეობენ საახალწლო თუ გამოსაშვებ კონცერტებში.

ᲨᲔᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ

ყოველი წლის პირველ ივნისს მთელ მსოფლიოში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. მშობლები შვებულებას იღებენ ხოლმე და შვილები ბამბის ნაყინის საჭმელად და პარკში სასეირნოდ მიჰყავთ. თითქმის ყველგან იმართება კონცერტები და პატარებს სახეზე ფერად ყვავილებს და მზეებს ახატავენ, აძლევენ ბუშტებს და სათამაშოებს. იმ ბავშვებსაც, ვისაც მშობლები არ ჰყავთ, ამ დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. პირველი ივნისი პატარებისთვის ყოველთვის ხალისიანი დღე გამოდის, საღამოს დაღლილი ბავშვები გაღიმებულები წვებიან საწოლებში და ტკბილ სიზმრებს ნახულობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს ამ დღეს სიხარულით ხვდებით, შესაძლოა, ზოგიერთმა თქვენგანმა ზუსტად და დანამდვილებით არ იცოდეს პირველი ივნისის ნამდვილი მნიშვნელობა. ეს სულაც არაა დღე, როცა ათასი ბუშტი უნდა გაუშვა ცაში და პატარებისთვის თამაშობები მოაწყო. უფრო სწორად, პირველი ივნისი იმიტომ აღინიშნება მსგავსი რაღაცებით, რომ 1989 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ პირველად მიიღო ბავშვთა უფლებების კონვენცია, ხოლო ერთ წელიწადში ის ძალაში შევიდა. აქამდე ყველას შეეძლო დაერღვია ბავშვთა უფლებები და კანონის მიხედვით არ დასჯილიყო. ამ კონვენციამ უფროსებს დანამდვილებით ასწავლა, თუ როგორ უნდა მოეპყრონ პატარებს და რის უფლება აქვთ მათ. მსოფლიოს ბევრმა ბავშვმა არ იცის საკუთარი უფლებების შესახებ, ზოგმა არც ის იცის, რომ მშობელმა მას არ უნდა სცემოს და არც მუშაობა აიძულოს – შესაძლოა იმ 193 ქვეყანაშიც კი, სადაც ეს კონვენცია უკვე მიღებულია. ამ სახელმწიფოებში საქართველოც შედის.

მახსოვს, პირველად რომ გავიგე ბავშვთა უფლებების კონვენციის შესახებ, ძალიან გახარებული ვიყავი. განა იმიტომ, რომ მშობლები ჩემს უფლებებს არღვევდნენ, უბრალოდ, მომწონდა ის, რომ რაღაცები დანამდვილებით შემეძლო და მივხვდი, რომ არამარტო ჩემს სახლში, ან მეგობრებთან, არამედ ქალაქში, ქვეყანაში და საერთოდ, მსოფლიოში გარკვეული ადგილი მეჭირა.

მოდი, შენი რამდენიმე უფლების შესახებ გეტყვი, აი, დავიწყოთ ყველაზე მარტივიდან:

1. ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

2. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ყველა ბავშვის უფლება რელიგიის, ეროვნების, კანის ფერისა და სხვა განსხვავებების მიუხედავად.

3. ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე უფლება აქვს, იზრდებოდეს მშობლების გარემოცვაში.

4. ბავშვს უფლება აქვს, იცხოვროს მშობლებთან ერთად და, მშობლების განცალკევების შემთხვევაში, ურთიერთობა ჰქონდეს მათთან, თუ ეს არ არის მისთვის საზიანო.

5. ბავშვსა და მის მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ დატოვონ და დაუბრუნდნენ საკუთარ ქვეყანას, რათა ერთ ოჯახად იცხოვრონ.

6. ბავშვს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი ისეთ საკითხებზე, რომელიც მას ეხება.

7. ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის და გაზიარების უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მისთვის ან სხვისთვის საზიანო.

8. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვის აზრისა და რწმენის თავისუფლება და პატივი სცეს მას.

9. სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეუქმნას მათ ოჯახური გარემო.

თუ დაგაინტერესებს, ყურადღებით წაიკითხე ბავშვთა უფლებების კონვენცია.

ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲘᲗᲑᲚᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲗᲔᲛᲘ ,,ᲗᲔᲗᲐᲛᲘ,,

შინაარსიანი, ძალიან საინტერესო, ემოციებით დატვირთული შეხვედრა გაუმართა მოწვეულ სტუმრებსა და მშობლებს, მასწავლებლებს, თანატოლებს ა(ა)იპ ქალთა თემმა – "თეთამი"... საქმე ის გახლავთ, რომ "თეთამის" გამგეობის თავმჯდომარის ლამარა ფულაძის ინიციატივითა და ხელშეწყობით ახალქალაქში ჩატარდა შემოქმედებითი, შემეცნებითი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, "თეთამის" საქველმოქმედო ფონდის დამფინანსებელი, გერმანელი ქალბატონი მარგრეტ ვეგმანი, ფონდის წარმომადგენელი საქართველოდან ციცინო ოძელაშვილი, ახალქალაქის დეპუტატი გიორგი დარბიაშვილი, სოფლის აქტივის წარმომადგენლები.

თემში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა მოწვეულ სტუმრებს წარუდგინეს საკუთარი ძალებით მომზადებული კონცერტი (მუსიკალური წრის ხელმძღვანელი ნინო ხუციშვილი), თუმცა კონცერტის დაწყებამდე დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ სკოლის ფოიეში, აგრეთვე, საკლასო ოთახებში სახელდახელოდ მოწყობილ გამოფენას, აქ იყო წარმოდგენილი ნახატები და ნაქარგები, ბავშვების ხელით შესრულებული რეწვის ნიმუშები, მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თექის გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიებით აღფრთოვანებული ფონდის დამფინანსებელი, გერმანელი ქალბატონი მარგრეტ ვეგმანი მომავლის იმედით დაემშვიდობა წლების წინ გაცნობილ-დამეგობრებულ მასპინძლებს და სამომავლოდ კიდევ აღუთქვა თანამშრომლობა და მხარდაჭერა...

2007 წლის ნოემბერში კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში /ინვალიდ ბავშვთა სახლის შენობა, მეორე სართული/ დაფუძნდა ქალთა თემი "თეთამი", რომლის მიზანი გახლავთ ხელი შეუწყოს სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების, ასევე მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას. სწორედ ამიტომ, ესთეტიკური, შრომითი და კულტურული პროგრამების განხორციელების მიზნით ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის წრეები და ჯგუფები. დაიწყო გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა, ამ მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი პროექტი. გააქტიურდა თანამშრომლობა, დახმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან.

ქალთა თემს "თეთამი" – 2008 წლის აპრილიდან ფინანსურ დახმარებას უწევენ გერმანელი მარგრეტ ვეგმანი და ქელერების ოჯახი. "თეთამში" გაერთიანებულია ახალქალაქის საჯარო სკოლის 78 მოსწავლე. მოსწავლეები მეცადინეობენ გერმანულ ენასა და ზოგად უნარებში. ბავშვებისათვის ფუნქციონირებს ხალხური სიმღერების, თექის, ხეზე მუშაობის შემსწავლელი წრეები, წლების წინ გაიხსნა ხელოვნების წრე, სადაც გაერთიანებულია ფოლკლორით დაინტერესებული ბავშვები, გახსნილია ასევე, საოჯახო საქმისა და კომპიუტერის შემსწავლელი წრე. მეცადინეობისათვის შექმნილია სრული კომფორტი, ბავშვებისათვის დღეში ერთხელ დაწესებულია ერთჯერადი კვება. მოსწავლეები სისტემატურად აწყობენ გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებს, ატარებენ სემინარებსა და ტრენინგებს, ეწყობა ექსკურსიები. უნდა აღინიშნოს თექისა და ხეზე მუშაობის წრეების წარმატება, ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს კავკასიის სახლში /2010 წელს / გამართულ გამოფენა-გაყიდვაში, მონაწილეობდნენ აგრეთვე მეტეხი პალასში გამართულ თექის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაში, შემოსული თანხებით ხდება მასალების შეძენა, რათა გაგრძელდეს დაწყებული პროექტები.

დღის ცენტრის ფუნქციონირებისათვის შეძენილია სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები, კერძოდ, კომპიუტერის კომპლექტი, კომპიუტერული თამაშების დისკები, მაგთი-ფიქსის ტელეფონი, ციფრული ფოტოაპარატი, ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, ტენისის მაგიდა, ფეხბურთის მაგიდა, ასევე შეძენილია გერმანულის სახელმძღვანელოები /1X, X, X1, X11 კლასების /.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების კუთხით მოეწყო სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრება ოპერისა და ბალეტის თეატრში, მუსკომედიისა და თოჯინების თეატრში, მოეწყო ექსკურსიები თბილისში, სიღნაღში, ყაზბეგში, ვარძიასა და დავით გარეჯში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფონდი წლების განმავლობაში დახმარებას უწევს ახალქალაქში არსებულ ორივე საბავშვო ბაღს.

დღის ცენტრში გაერთიანებული ბავშვები და მათი მშობლები აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციის ("ქალები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ") მიერ ჩატარებულ ტრენინგებში, აღნიშნულ თემაზე ასევე, კვალიფიციური კონსულტაციები ჩაუტარდა ოჯახებს.

საქველმოქმედო ფონდი აქტიურად ზრუნავს გარემოს დაცვაზე, ლოზუნგით "გავალამაზოთ ჩვენი სოფელი" სისტემატურად ეწყობა აქციები, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობენ მშობლებიც. შარშან ეკოლოგიური წრის მოსწავლეებმა მოაწყეს ექსკურსია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ნაკრძალში, ასევე, ეკოლოგიის წრის ხუთი მოსწავლე იმყოფებოდა ლაგოდეხის ეკოკლუბის საზაფხულო ბანაკში. შარშანდელი წელი ეკოლოგიური წრის მოსწავლეებისათვის იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ეკოკლუბის კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა თბილისში, სადაც ბავშვებმა წარადგინეს ძალიან საინტერესო პროექტი "კომპოსტირება ფოთლების დაწვის ნაცვლად". წლეულს, გაზაფხულზე დღის ცენტრის ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ნახატებისა და ნაძერწების გამოფენაში, მოკლედ, ქალთა თემი "თეთამი" უფრო და უფრო მასშტაბური ხდება და დღითიდღე მეტ მონაწილეს იძენს.

პატარა კინოკრიტიკოსები

წინარეხის საჯარო სკოლაში განხორციელდა კიდევ ერთი საინტერესო აქტივობა, რომელიც გათვალისწინებული იყო დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის. ბავშვები ინტერესით, ხალისით ჩაერთვნენ პირველი-მეორე კლასების მასწავლებლის ნინო დათუკიშვილის მიერ დაგეგმილ აქტივობაში, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ანიმაციური ფილმის "ბემბის" ჩვენება-განხილვა.

ფილმის განხილვის შემდეგ პატარა კინოკრიტიკოსებმა მოაწყეს შერჩეული ილუსტრირებული ეპიზოდის პრეზენტაცია და ჩამოაყალიბეს მთავარი გმირის სახასიათო ნიშნები. პატარა კინოკრიტიკოსებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს აქტივობის ფარგლებში გამართულ დისკუსიაში თემაზე: "ადამიანის ბოროტი საქციელი". მათ მიერ დაფიქსირებული დასკვნები საინტერესო და ორიგინალური იყო, რამაც წარმოაჩინა მოსწავლეთა შემოქმედებითობა.



აქტივობის დასასრულს მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ღონისძიებაზე მიღებული შთაბეჭდილებები, წერილობით დააფიქსირეს ფილმისადმი საკუთარი დამოკიდებულება და მოაწყეს საკლასო გამოფენა.

შეუცნობელი, მოულოდნელი, საინტერესო...

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. ხშირ შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ. თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ თუ იგი საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ "ფენომენს" და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

***დასასრული. დასაწყისი იხ "ახალი განთიადი" №9. 2015 წელი.**

6 აპრილის დღე ასე დამთავრდა : მარჯვენა ფრონტზე სრული გამარჯვება, მარცხენაზე კი სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა, რაც არასოდეს არაფრით გამართლდება - წუხდა გენერალი. მან განსაზღვრა, რომ თურქებს შეეძლოთ გზა გადაეჭრათ ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთისთვის, საფრთხე დიდი იყო, ამიტომ დაასწრო და იმ საღამოსვე დაიკავა ნასაკირალის უღელტეხილი და ნაგომარი.

მაზნიაშვილს მოსდიოდა ამბები იმის შესახებ, თუ როგორ აწიოკებდნენ თურქები ოზურგეთს. გადაწყვიტა ოზურგეთი აელო, ეს აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჯარში სულიერი განწყობა ამაღლებულიყო. გენერალმა შეიმუშავა ოზურგეთის გათავისუფლების გეგმა. უკვე ამ დროს, მის ჯარს შემოუერთდა 1000 გვარდიელი სრული შეიარაღებით. 11 აპრილს გათენებისას მთავარმა ძალებმა იერიში მიიტანეს მტერზე. თურქებმა გვარდიის შეტევას ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. მათ სანაპირო ჯარის ორი რაზმი დაედევნა. ბრძოლა გახურდა. ჯარში აღფრთოვანება გამეფდა. გამარჯვება ახლოს იყო. სწორედ ამ დროს მაზნიაშვილმა მიიღო მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება - დაიდო დროებითი ზავი: დაუყოვნებლივ უნდა შეაჩეროთ სამხედრო მოქმედება, ააფრიალეთ თეთრი დროშა - სწერდა ჟორდანია. მეტი რა გზა იყო, ბრძოლა შეჩერდა იმ დროს, როცა ოსმალებს უკვე უნდა დაეტოვებინათ ოზურგეთი. თუმცა ივნისში ოზურგეთი ოსმალებმა უბრძოლველად დატოვეს. ქალაქში შესულ გენერალს იქაურობა გაძარცული და გაპარტახებული დახვდა.

18 ივნისს გ. მაზნიაშვილი დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის სანაპირო ჯარების უფროსად. მთავრობა გენერალს გზავნიდა იქ, სადაც იმ დროს ქვეყანას განსაკუთრებით უჭირდა. შემდეგ ის ებრძოდა სომხებსა და წითლებს და იცავდა თბილისს. 1921 წლის მარტში მას ისევ მოუხდა ბრძოლა ოსმალებთან ბათუმის გათავისუფლებისათვის. ამ დროს საქართველო უკვე ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ, მაგრამ მაზნიაშვილი პოლიტიკაში არ ერეოდა, ის სამშობლოს ჯარისკაცი იყო.

ისარგებლა რა, საქართველოში შექმნილი არეული სიტუაციით, ბათუმში შემოვიდა ოსმალეთის ჯარი ქიაზიმ-ბეის სარდლობით, რომელმაც თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. ბათუმის რევოლუციური კომიტეტი დაეთათბირა ქართულ გენერალიტეტს და გადაწყდა, ქართული ჯარის სარდ-

ლობა გიორგი მაზნიაშვილისათვის დაეკისრებინათ. გენერალმა მაზნიაშვილმა შეკრებილ სამხედრო პირებს და რევკომს სიტყვით მიმართა: ქართველი ოფიცრები არ ეკიდებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში, ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს. და თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არცერთი ჯარისკაცი, გენერლიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე უწინდელი სამსახურისთვის არ იქნება დასჯილი, მე მზადა ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგები სამხედრო მოქმედებას ოსმალების წინააღმდეგ. ის დაინიშნა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და საქართველოს წითელი ჯარის სარდლად.

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე

ჯერერალი მაზნიაშვილი-ცამეტიანი ჯარისკაცი

მაზნიაშვილმა ქიაზიმ-ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი - ერთი საათის განმავლობაში დაეწყო თავის ჯარების გაყვანა ბათუმის ოლქიდან. რადგან პასუხი არ მიუღია, ჩვენმა ჯარმა დაიწყო შეტევა ფარცხანას რაიონში და მალე დაიკავა კიდეც ეს ფორტი. მაგრამ ოსმალები უტევდნენ კახაბრის ფორტს, რომლის დაკავების შემდეგაც ისინი ბათუმზე ფაქტიურად იბატონებდნენ. 19 მარტს მაზნიაშვილმა გააძლიერა კახაბრის გარნიზონი და ცხარე ბრძოლების შემდეგ ამ ადგილებიდან ოსმალები დიდი ზარალით განდევნა. ბათუმი თითქმის გაიწმინდა მტრისგან, დარჩენილი იყო მხოლოდ მათი პატარა რაზმები. მაზნიაშვილს მეორე დღეს უნდა მოეხდინა მათი ლიკვიდაციის ოპერაცია, მაგრამ ქიაზიმ-ბეიმ სთხოვა, რომ ეცლიათ მისი რაზმებისათვის აჭარიდან გასვლა. კეთილშობილმა გენერალმა მიიღო ზომები და რევკომთან შეთანხმებით, უზრუნველყო ოსმალთა გადასვლა ჭოროხს იქით, თან პურიც გაუგზავნა, რომ დამშეული ასკერები გამოეკვებათ. 20 მარტს, მან რევკომს მოახსენა, რომ ბათუმსა და მის ოლქში მტრის არცერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ იყო, თუმცა გენერალი დარდობდა იმას, რომ ბათუმის ბრძოლებში 84 კაცი დაკარგა: ჯარისკაცთა ასეთი დანაკლისი არ მქონიაო.

საბჭოთა მთავრობამ არ დაუფასა ღვაწლი გიორგი მაზნიაშვილს. იგი დააპატიმრეს. ორი წლის პატიმრობის შემდეგ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ ეს განაჩენი შეუცვალეს საქართველოდან 5 წლით გადასახლებით. გენერალი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, იგი დახვრიტეს. ამავე წელს დახვრიტეს მისი ვაჟიც.

თუმცა, ბოლო პერიოდში მისი სახელი დამსახურებული დიდებით შეიმოსა. სოფელ სასირეთში რესტავრაცია გაუკეთდა მის მშობლიურ სახლს, სადაც მოეწყო მემორიალური მუზეუმი, ქალაქ კასპის ცენტრში კი დაიდგა მისი ბიუსტი.

მარინე ახალკაცი.

ამბები ზღაპრული ჯადოქრებზე

რადგან ჯადოსნურ სამყაროში დავიწყეთ მოგზაურობა, გეტყვით, რომ ძველი ზღაპრები, მითები და ლეგენდები მრავალი ჯადოქრის შესახებ გვიყვებიან. ჯადოქრები – ბოროტი თუ კეთილი – ქართულ ზღაპრებშიც გვხვდებიან. "ჰარი პოტერის" ავტორმა ჯოან როულინგმა მთელი ზღაპრული სამყარო შეისწავლა, სანამ წიგნს დაწერდა. მეც ცოტას

მოგიყვები ამ ნამდვილ თუ გამოგონილ ჯადოქრებზე. ერთ-ერთი უძველესი ჯადოქარი მერლინია. ის ძველ ბრიტანულ თქმულებებში გვხ-

ვდება. თურმე შუა საუკუნეებში მოღვაწეობდა და ყველაზე ცნო-

ბილი ჯადოქარია მსოფლიოში.

მერლინი აღიარებულია "ჯადოქრების პრინცად" და თუ გახსოვს მულტფილმი კამელოტის რაინდებზე, მაშინ აუცილებლად გეცოდინება, რომ მეფე არტურთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

ალბუს დამბლდორი მერლინს ძალიან ჰგავს გარეგნობით. "ჰარი პოტერში" იგი ჰოგვორტსის დირექტორია და მგლებთანაც თბილ დამოკიდებულებაშია. ბარდოკ მულდონიც მასავით მოღვაწეობდა და 1429-1490 წლებში მაგიური საბჭოს თავმჯდომარე იყო. სწორედ მაგ დროს გამოსცა მულდონმა კანონი, რომლის მიხედვითაც ჯადოსნური სამყაროს ნებისმიერი წევრი, რომელსაც ორ ფეხზე სიარული შეეძლო, უნდა ჩათვლილიყო მაგიურ "არსებად" და არა "მხეცად". მულდონმა კრებაზე არაჯადოქარი არსებები მოიწვია – ტროლები, ელფები, ფერიები და კუდიანები. როდესაც ბარდოკს შეხვედრაზე ეჩქარებოდა, გზად მოზრდილ ტროლის ფუნაში ჩაეფლო და გამწარებულმა დატოვა იქაურობა. ამის შემდეგ მულდონმა აკრძალა ნებისმიერი არაჯადოქრული ნაციის გამოჩენა საბჭოში.

თურმე ურიკ უცნაურიც შუა საუკუნეებში ცხოვრობდა და საოცრად თავისნათქვამა ჯადოქარი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, მედუზა ეფარა თავზე.

ტილი ტუკი ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული ჯადოქარია. 1932 წელს მან თავის ოჯახთან ერთად შეძლო მასშტაბური მოგონებების წაშლა: გასარუჯად წამოწოლილ ადამიანებს თავს დაესხა უელსური მწვანე დრაკონი. ტუკმა დრაკონი განდევნა და იზრუნა, რომ ადამიანებს მისი არსებობის ფაქტი სამუდამოდ დავიწყებოდათ. ამ გმირობის გამო მას მერლინის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭეს.

ადალბერტ უაფლინგი არის ავტორი "შედევრისა" "მაგიის თეორია." ის ცნობილი თეორეტიკოსი იყო, რომლის წიგნებზეც გაიზარდა ყველა თანამედროვე ჯადოქარი. ის და ალბუს დამბლდორი ახალგაზრდობაში ერთმანეთს წერილებს სწერდნენ. დერვენტ შიმფლინგი მისი შორეული ნათესავია, ცნობილი ჯადოქარი იუმორისტი, რომელმაც ნიძლავზე შეჭამა "შხამიანი ტენტაკულა" და გადარჩა. მართალია, დღემდე შერჩა იისფერი კანი, მაგრამ ჯადოსნური სამყარო მას აფასებს და უყვარს მისი სიმამაცისა და იუმორის გამო.

ჰერპო "უწმინდური" ძველ საბერძნეთში მოღვაწეობდა. იგი იყო ბნელი ჯადოქარი, რომელმაც სამყაროს მოუვლინა გველი ვასილისკო. და, რა თქმა უნდა, გველების ენაზეც შეეძლო საუბარი. ჰერპო ცნობილია, როგორც პირველი ჯადოქარი, რომელმაც შექმნა ჰორკრუქსი – ჯადოსნური ნივთი, რომელშიც ადამიანს საკუთარი სულის ნაწილის გამომწყვდევა შეუძლია.

ბოუმან რაითი 1492-1560 წლებში ცხოვრობდა. მან გააერთიანა მაგია, სპორტი და მეცნიერება და ცნობილი გახდა გენიალური გამოგონებით - ოქროს ბურთით.

გიფორდ ოლერტონი ცნობილი იყო, როგორც გოლიათების გამანადგურებელი. სწორედ მან მოკლა გოლიათი ჰენგისტი ზემო ბარნტონთან და გახდა იქაური ფოლკლორის გმირი.

მინდა გთხოვოთ, რომ ქართული ზღაპრები წაიკითხოთ და ქართველი ჯადოქრების შესახებ მიამბოთ, მომწეროთ!

კეხურა

მაუნაფუნა

გიგას უთხრეს, ხვალ შენი დაბადების დღე მოდის და სტუმრები მოვლენო. მეორე დღეს სტუმრები რომ ნავიდნენ, გიგა ეკითხება დედას:

– დედიკო, სტუმრები რომ ნავიდნენ, ჩემი დაბადების დღეს ნავიდა?

გიგა გელიტაშვილი, 3 წლის.

გიგას დედა ფეხმძიმედ იყო. დედამ პატარა გიგა ეკლესიაში წაიყვანა, სანთელი დაანთო და მარიამ ღვთისმშობელს შეევედრა: – ნმინდაო მარიამ, ოღონდაც გოგო მეყოლოს და შენს სახელს დავარქმევ. გიგას მართლაც დაიკო შეეძინა. როცა სახელს არქმევდნენ, გიგას შეეკითხნენ:

– გიგა, რა დავარქვათ შენს დაიკოს?

– ნმინდა მარიამი, – უპასუხა გიგამ.

გიგა და დედამისი სურათებს ათვალიერებენ. ერთ სურათზე გადაღებული იყო ორი პატარა გოგონა. გიგა ეკითხება: – დედა, ესენი ვინ არიან?

– ეს მე ვარ, მეორე კი ხათუნა დეიდაა.

– ეს სურათი სად გადაიღეთ? – კვლავ კითხულობს გიგა.

– ზოოპარკში, პასუხობს დედა.

– დებილებო, მე რატომ არ ნამიყვანეთ?! ბრაზობს გიგა.

4 წლის და 4 თვის.

– გიგა, ნუ მაბრაზებ, თორემ მოვკვდები, ეუბნება ბებია.

– არა ბებო, არ მოკვდე, თორემ არც გადასაფარებელი არა გვაქვს და არც ის, მკვდარს რომ ანვენენ ხოლმე.

4 წლის და 5 თვის.

თბილისში ჩამოვიდა რუსული ესტრადის ვარსკვლავი. პატარა გიგა მეზობლის ბიჭს ეუბნება:

– ვაჟა, ნამიყვანე რა კონცერტზე?!

– მე არ მივყავარ და შენ ნაგიყვანს? ეუბნება ვაჟას და.

– შენ იმიტომ არ მიყევხარ, რომ დიდი ხარ და ბილეთის ფული გინდა, მე კი ფულს არ გადამახდევინებენ.

– რატომ? გაუკვირდა ვაჟას.

– იმიტომ, რომ პატარა ვარ, რუსული არ ვიცი და მაინც ვერ გავიგებ რას იმღერებენ.

7 წლის და 4 თვის, II კლასი.

გიგას ბიძაშვილი პიანინოზე ქართული სიმღერის დაკვრას სწავლობდა. გიგამ უსმინა, უსმინა და ეუბნება:

– ნატო, პიანინოზე რუსულად დაკვრა უფრო ძნელი იქნება არა?!

8 წლის, III კლასი.

მეზობლის ქალები წყაროსთან საუბრობდნენ:

– რუში ისეთი სუფთა წყალი მოდის, რომ შეიძლება სარეცხი დაავლო.

პატარა მარი, რომელიც მათ საუბარს უსმენდა, ამბობს:

– არ არის სუფთა, იქ ბავშვებმა თევზი დაიჭირეს და წყალი თევზიანია.

მარი გელიტაშვილი, 3 წლის და 8 თვის.

მეზობლის პანაშვიდზე დამკვრელები მოიყვანეს. პატარა ბავშვები გარშემო შემოეხვივნენ და უსმენდნენ. სალამოს სახლში მისული ტრისტანი დედას ეუბნება:

– ნეტა პაპაჩემიც მოკვდეს, ჩვენთანაც მოვლენ დამკვრელები.

ტრისტან მაისურაძე, 4 წლის და 7 თვის.

ლიკას ფერები ერთმანეთში ერეოდა. დედა ეკითხება:

– ლიკა, შენი კაბა რა ფერია?

– ფერია, პასუხობს ლიკა.

ლიკა ონიაშვილი, 2 წლის და 7 თვის.

*პატარების გამონათქვამები ჩაიწერა ქეთევან ჭალიაშვილმა.

რუბრიკა – წელიწადის ძეხვთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით ოდაქციაში, გვეგვიანით თქვენი ნაძაურეები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გაიცანით ისინი ნახოვადოებას.

მკითხველს შეუძლია მიგვწოდოს შემეცნებითი-გასართობი მასალები, სასვლელი ადგილები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიგვმართოს მისამართზე - ყანჩა, ხაიაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ფერადოვანი ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

,,კეხურა,, ილოცებს გამოხმაურებას





* * *

"კეხურა" გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

* * *





გვსურს ცვლილებები ცხოვრებაში

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და უველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით საყურველი სტუმარი.

ოცდამეცხრე ,,ახალი გვნთიადი,, იძიებს ცვინცდრიდეს ცოცხალ რეალობებს ცვგვზეთ ოცდამეცხრის შეცვლილ. თხოვნით მივმართავთ თანვრეალობელებს - ოცდოვეთ თქვენი ყველი ჩვენს მცდანდეში! გამოგვიგზავნეთ ცვინცდრიდეს ლა ცვხალიცთ ფოტოები!

"ახალი განთიადის" წინა ნომერში მითითებული "9-21 მაისი №8"-ის ნაცვლად უნდა იყოს "21-31 მაისი №9."

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საქაქაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76